ქეთევან კაკიტელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იდენტობის კონსტრუირების მოდელები საქართველოში მე-19-20 საუკუნეთა მიჯნაზე

აბსტრაქტი

ნაშრომს მიზანია გამოკვეთოს „ჩვენ-ქართველთა“ ჯგუფის იდენტობის კონსტრუირების მოდელი და თვალი გაადევნოს „სხვა“ - სომხური და ებრაული - ჯგუფების ორი განსხვავებული მოდელის ფორმირების პროცესს, გამოიკვლიოს მათი რადიკალური განსხვავებულობის მიზეზი.

ნაშრომში გაანალიზებულია მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის იდენტობის მაფორმირებელი ძირითადი ტექსტები იმისათვის, რომ ახსნას ორი განსხვავებული „სხვის“ სახის ფორმირების კომპლექსური - სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მიზეზები.

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში *„სხვა“-ს* ორი პარადიგმული მოდელი არსებობს - ქართველი ებრაელების და სომხების.მიჩნეულია, რომ საუკუნეთა მანძილზე ებრაელებსა და ქართველებს შორის „უნიკალური“ მეგობრული ურთიერთობები ჩამოყალიბდა. დეკლარირებულად სომხებსა და ქართველების ასევე საუკუნოვანი „ძმობა და მეგობრობა“ აკავშირებს. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ პოლიტიკური ელიტას და მას-მედიას ვერ დავადანაშაულებთ არმენოფობიური განწყობების გამოხატვასა ან მხარდაჭერაში და არც ანტისომხური განწყობის გამოხატვა ითვლება კარგ ტონად, სულ უფრო ხშირად საუბრობენ ქართულ საზოგადოებაში არსებულ არმენოფობიაზე (იხ. მაგ: მაისურაძე, 2011).

ფილოსემიტიზმი და არმენოფობია ორი დომინანტური მსოფლმხედველობრივი პარადიგმაა, რაც ცხადია, არ გამოიხატება არც ყველა ებრაელის სიყვარულში და არც ყველა სომეხის სიძულვილში (არ გამორიცხავს არც იუდოფობიური სტერეოტიპების, არც სომეხთა მიმართ კეთლგანწყობის არსებობას). ეს პარადიგმა ურთერთგაზიარებულია ერთი მხრივ, ქართველებისა და ებრაელების, მეორე მხრივ, ქართველებისა და სომხების მიერ და მათი იდენტობის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. მეტიც, ეს იდენტობები ურთერთდამოკიდებულია და ერთი მეორის

გარეშე არ არსებობს.ხშირად ხაზგასმით აღინიშნება, რომ საქართველოში არასდროს ჩამოყალიბებულა ანტისემიტური იდეოლოგია და რომ ანტისემიტიზმი საქართველოში არმენოფობიამ ჩაანაცვლა“ (მაისურაძე, 2011).[1]

ნაშრომის მიზანია, განსაზღვროს, თუ რამ განაპირობა ორი ტოტალურად განსხვავებული „სხვა“-ს სახის ჩამოყალიბება ქართულ საზოგადოებრივ დისკურსში.

პასუხი დასმულ კითხვაზე, სავარაუდოდ, ამ ჯგუფების იდენტობის ღრმა შრეებში უნდა მოიძებნოს. შესაბამისად, ნაშრომში გაანალიზებული იქნება საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ინტელექტუალთა [2] მიერ ჩამოყალიბებულ ქართული, ებრაული და სომხური იდენტობის კონცეფციები.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოში, ისევე როგორც სხვა იმპერიულ სივრეებში, ეთნიკური, რელიგიური და ნაციონალური იდენტობის ფორმირების ხანაა. 1860-იანი წლებიდანევროპულ ლიბერალურ ფასეულობების მქონე ინტელექტუალებმა- თერგდალეულებმა - განსაზღვრეს ქართული იდენტობის ფუნდამენტური მარკერები და მიმართებები საქართველოში მაცხოვრებელ სხვა ეთნიკურ/რელიგიურ ჯგუფებთან. მათ მიერ შემუშავებული მოდელი დღესაც სიცოცხლისუნარიანია, მიუხედავად პოლიტიკური და იდეოლოგიური კონტექსტის არაერთი ცვლილებისა საქართველოში.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისათვის საქართველოში რელიგიური და ეთნიკური იდენტობები ურთიერთგანმსაზღვრელად მიიჩნეოდა. 1870-იან წლებიდან რელიგია სულ უფრო მეტად განიხილებოდა როგორც „სინდისის თავისუფლების“ საკითხი, რომელიც ხელშეუხებელია; თანდათან გაზიარებული გახდა იდეა, რომ ქართველების განსხვავებული აღმსარებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას მათი ნაციონალური ერთიანობისათვის („ივერია“, 1877: N 9; დროება, 1883: N 186). ქართული იდენტობის კონცეფციისათვის ისტორია უმნიშვნელოვანესი იდენტობის მაფორმირებელი მარკერია (ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია ილია ჭავჭავაძის წერილები „ოსმალოს საქართველო“ (1877) და „ერი და ისტორია“, 1888); ისტორია

[1] ამ თემას მიეძღვნა გიორგი გვახარიას საავტორო გადაცემა „წითელი ზონა“ „არმენოფობია საქართველოში - მითი თუ რეალობა?“ 15.02.2013. მოძიებულია 28 მარტი, 2017 “http://www.radiotavisupleba.ge/a/red-zone/24903569.html

[2] ნაციონალური იდენტობის განსაზღვრაში ინტელექტუალთა როლის შესახებ იხ.: Kennedy, Michael D., Suny, Ronald. G. Introduction. Intellectuals and the Articulation of the Nation. Ann Arbor, The University of Michigan Press, 2004, p. 1-51.

შემოფარგლავს *მამულს* - ერის „ბინას“ და მისი არსებობის საფუძველს. სწორედ მე-19 საუკუნეში დაიწყო *მამულის,* როგორც ქართული კულტურული კონტექსტის ცენტრალური კონცეფციის გააზრება: მამული, რომელსაც ამუშავებდნენ, როგორც მიწათმოქმედები და რომელსაც იცავდნენ, როგორც მეომრები („აკაკის თვიური კრებული“, 1897: N 3; „საქართველოს მოამბე“,1909: N 4).

ამგვარად, *ისტორია* და *მამული*განისაზღვრა როგორც ორი ფუნდამენტური და ურთერთდაკავშირებული რეალობა, რომელშიც იქმნება და არსებობს ქართული იდენტობა. სწორედ *საქართველოს ისტორიისა* და *საქართველოს,* როგორც *მამულის* (ტერიტორიის, სამშობლოს) მიმართ ებრაელებისა და სომხების მიმართებამ განსაზღვრა მათი ადგილი ქართული ნაციის ფარგლებში.

1870-იანი წლებიდან საგაზეთო პუბლიკაციებში გამოიკვეთა ორი ჯგუფი - ერთი მხრივ, ქართველები, ხოლო მეორე მხრივ, ებრაელები და სომხები - რომლებსაც ურთერთსაპირისპირო ღირებულებები, ცხოვრების წესი, სოციალური და ეკონომიკური სტატუსი ჰქონდათ. ამავე დროს, გადაიკვეთა იდენტობის ეთნიკური/რელიგიური და სოციალური/ეკონომიკური ასპექტები: ვაჭარი/მევახშე ხშირად ებრაელისა და სომხის სინონიმადაც გამოიყნებოდა, რასაც თან ნეგატიური ეთნიკური სტერეოტიპების ჩამოყალიბებაც ერთვოდათან („დროება“, 1870: N23;1874, N439).

ამავე პერიოდის ინტელექტუალურ დისკურსში ებრაელები და სომხები განსხვავებულ ჭრილში განიხილებოდნენ. ყოფასა და მეტყველებაში მზარდ იუდოფობიურ განწყობებს (ნეგატიური სტერეოტიპები, სისხლის ცილისწამების, ძალადობისა და დამცირების ფაქტები) მკვეთრად დაუპირისპირდა ინტელექტუალთა პერსპექტივა, რომელიც ნიმუშად სახავდა საფრანგეთში, შვეიცარიასა და შეერთებული შტატებში ებრაელთა ემანსიპაციას. ნიკო ნიკოლაძე და სერგეი მესხი ასაბუთებდნენ, რომ ებრაელებს („ურიებს“) უნდა ჰქონოდათ თანასწორუფლებიანი მოქალაქის სტატუსი და მათთვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ფართო საზოგაოდოებრივი ასპარეზი („დროება“, 1871: # 32; „დროება“, 1875: # 9). 1880-იან წლები ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ ვოლსკი და ილია ბახტაძეხაზს უსვამდნენ ქართულენოვანი ებრაელების ისტორიულ და კულტურულ კავშირს ქართულ ერთობასთან(„ივერია“, 1881: N6; „დროება“, 1883:N 186; „ივერია“, 1886:N

198). ქართული ნაციონალიზმის ინკლუზიურმა მოდელმა, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა საზიარო ისტორიასა კულტურაზე, შესაძლებელი გახადა ქართულენოვანი ებრაელების ქართულ ნაციონალურ ფარგლებში გააზრება. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან გახშირდა პუბლიკაციები, სადაც ქართულენოვანი ებრაელები არაქრისტიან/არამართლმადიდებელ ქართველთა შორის მოიხსენიებოდნენ, როგორც „ქართველი ისრაელები“ („ივერია“, 1903: N 25;„ზვირთი“, 1916: N 40; „ჩვენი ქვეყანა“, 1917: N 14, „თეატრი და ცხოვრება“, 1916: N 39, „სახალხო ფურცელი“, 1916: N 668; „სახალხო ფურცელი“, 1915: N 342; „ჩვენი ქვეყანა“, 1917: N 3).

1910 წელს ქართველ ებრაელ ინტელექტუალთა სამმა ჯგუფმა შეიმუშავა ქართველ ებრაელთა იდენტობის სამი ურთიერთდაპირისპირებული ხედვა. ე.წ. „ასიმილატორებმა“ ჩამოაყალიბეს „მოსეს რჯულის ქართველების“ - ქართველი ისრაელების კონცეფცია, რომლის თანახმად, ქართველი ებრაელები ქართული ნაციონალური ჯგუფის წევრები იყვნენ მხოლოდ განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობისა.ისინი აცხადებდნენ: „ჩვენ - ქართველ ქრისტიანებს და მოსეს მოძღვრების მიმდევარ ქართველებს გვაქვს ერთი ძვირფასი სამშობლო, დედა ენა, ერთი წარსული, იმედიანი მომავალი, ერთი რწმენა, მისწრაფება“ („სახალხო ფურცელი“, 1916:N 607). ორთოდოქსული ებრაული ორგანიზაციის „აგუდათ ისრაელის“ წევრები ხაზს უსვამდნენ ქართველ ებრაელთა საუკუნოვან კავშირს საქართველოსა და ქართულ კულტურასთან: „უხსოვარ დროიდან ქართველი ებრაელები სცხოვრობდნენ საქართველოში ქართველ ქრისტიანებთან ძმობასა და მეგობრობაში. ენისა და ზნე ჩვეულების ერთობა და სამშობლოსადმი სიყვარული არ უშლიდნენ ოთავეს დაეკავებიათ თავთავიანთი სჯული... ქართველი ებრაელები, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქები, თავიანთ მოვალეობათ სცნობენ: იზრუნონ მათ სამშობლოს, საქართველოს რესპუბლიკის კეთილ მომავალზე“ („საქართველო“, 1918: N 191). ქართველი ებრაელი სიონისტებიც კი, რომლებიც ებრაული იდენტობის გაძლიერებას ისახავდნენ მიზნად, მიუხედავარ სიონისტურ იდეოლოგიასთან გარკვეული წინააღდეგობრიობისა, აცხადებდნენ: „ავზარდოთ იმისთანა მოზარდები, რომელნიც სარგებლობას მოუტანენ ჩვენ ერს – ებრაელებს, ჩვენ სამშობლო – საქართველოს და ჩვენ მომმე ქართველ ერს” („სამშობლო“, 1915: N 247).

ნათელია, რომ ქართველ ებრაელთა თვითიდენტიფიკაციის კონცეფციები სრულად თავსდებოდა ქართული ნაციონალური იდენტობის მოდელში; ისინი ლოიალობას გამოხატავდნენ ქართული იდენტობის ცენტრალური მარკერების - ისტორიისა და მამულის/სამშობლოს მიმართ.

რაც შეეხება სომხებს, მე-19 საუკუნის დასასრულისათვის ისინი საქართველოში მოსახლე ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ უმცირესობას შეადგენდნენ და დომინირებდნენ თბილისის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქართველ და სომეხ ინტელექტუალთა წრეებში ერთდროულად აქტუალიზდა ნაციონალური იდენტობის საკითხი.იმ პერიოდის ქართულ გაზეთებში სომხებთან მიმართებაში ორი მთავარი ხაზი იკვეთება: 1) ქართველები სომხებს *ისტორიულ ძმებად* მიიჩნევენ; 2) ავტორები აღნიშნავენ ქართულ-სომხური კონფრონტაციის ეკონომიკურ და სოციალურ ხასიათს.

სავარაუდოდ, ქართულ-სომხური მძაფრი დაპირისპირების საფუძველი არა პოლიტიკური ან ეკონომიკური კონკურენცია იყო, არამედ კონფრონტაცია ორ, ჩამოყალიბების პროფესში მყოფ ნაციონალურ იდენტობას შორის. ქართული პერსპექტივიდან, დაპირისპირება დაკავშირებული იყო ქართული იდენტობის ზემოთ აღნიშნული ფუნდამენტური საფუძვლებთან - ისტორიასა და მამულთან/ტერიტორიასთან.

როგორც აღინიშნა, თბილისის სომხური ინტელექტუალური ელიტა ცდილობდა, განესაზღვრა სომხური ნაცია და მისი მაფორმირებელი იდენტობის მარკერები. ერთ-ერთი აქტიური ამ მხრივ იყო თბილისში გამომავალი სომხური ლიბერალური გაზეთი „მშაკი“, რომლის გამომცემელი და რედაქტორი იყო თბილისის სომხური ინტელექტუალური ელიტის ერთ-ერთი ლიდერი გრიგორ არწრუნი. ისევე როგორც ქართულ შემთხვევაში, რელიგიის, როგორც იდენტობის განმსაზღვრელი როლი, გადაიხედა და მასთან შედარებით უპირატესობა სომხურ ენას მიენიჭა. 1880 წლიდან კი ენასთან ერთად კი *სამშობლოს* ცნებაც გამოიკვეთა, როგორც ნაციის მაფორმირებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორისა. გრიგორ არწრუნი აღნიშნავდა: „თუ ნაციამ შეინარჩუნა ენა, მაგრამ დაკარგა სამშობლო, მან ახალი სამშობლო უნდა იპოვოს; სხვაგვარად, ენაც დაიკარგება. თუ ნაციას აქვს სამშობლო, მაგრამ დაკარგა ენა, მას მაინც შეუძლია განაგრძოს არსებობა“

(Bazinyan, 2015: 78); „თუ ნაცია დაკარგავს სამშობლოს და გაიფანტება, ის ნაცია აღარაა“ (Bazinyan, 2015: 78). სამშობლოს, როგორც იდენტობის მარკერის კონცეფცია თანმიმდევრულად არ განვითარებულა, მაგრამ ის მაინც მოიაზრებოდა იდენტობის მაფორმირებელ ძირითად კომპონენტად. სავარაუდოდ, იმ ფაქტმა, რომ შუა საუკუნეების პერიოდიდან სომხური სახელმწიფოებრიობის არარსებობამ *სამშობლოსა* და *ნაციის* ურთიერთმიმართება მწვავე და მნიშვნელოვან საკითხად იქცა. „მშაკის“ ავტორებს აკრიტიკებდნენ „ხალხის ილუზიას, რომ მათ შეუძლიათ საკუთარი ნაციის შენარჩუნება სამშობლოს გარეშე, ეკლესიისა და ენის შენარჩუნებით“ (Bazinyan, 2015: 78). ავტორები აკრიტიკებდნენ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ სომხებს შეუძლიათ შექმნან ნაციონალური ცენტრი ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობენ. ამგვარად, თბილისში მცხოვრები სომეხი ინტელექტუალების მიერ *სამშობლო* მოიაზრებოდა ნაციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან კომპონენტად. თუმცა ტერიტორია, სადაც უნდა შექმნილიყო სომხური ნაცია, ჯერ კიდევ არ იყო განსაზღვრული.

ქართველი ინტელექტუალები განსაკუთრებით მძაფრად რეაგირებდნენ სწორედ იმის გამო, რომ სომეხი ისტორიკოსები საქართველოს ისტორიის „გაბათილებით“ და „მითვისებით“ ცდილობენ მიითვისონ ქართველთა სამშობლო, რითაც საფრთხეს უქმნიან ქართულ იდენტობას.

ამ პრობლემას შეეხო ილია ჭავჭავაძე 1899 წელს სტატიაში „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“. ეს არის ძირითადი ტექსტი, რომელმაც შექმნა ჩარჩო ქართულ-სომხური მიმართების გასააზრებლად. ილია ჭავჭავაძემ მკაფიოდ გამოკვეთა 1) კრიტიკის სამიზნე - არა ზოგადად სომეხი ერი, არამედ სომეხი ისტორიკოსები - და 2) ქართულ-სომხური ურთიერთობების განმსაზღვრელი მთავარი პრობლემა, რომელიც არ არის სოციალიური ან პოლიტიკური ხასიათის, არამედ ნაციონალური იდენტობის ფუნდამენტურ საკითხს ეხება: ის მიუთითებს სომეხ ისტორიკოსებსა და მათ თანამოაზრეებზე, რომლებიც ცდილობენ დააკნინონ ქართული იდენტობა და მისი საფუძვლების - ისტორიისა და მამულის/ტერიტორიის „მითვისებით“ საფრთხე შეუქმნან მის არსებობას:„გვართმევენ ყოველს ეროვნულ ღირსებას, სთითხნიან ჩვენს ვინაობას... გვიბათილებენ მთელს ჩვენს ისტორიასაც ... ისტორიულ ნაშთსა და სახსოვარსა... და ყოველს ამას თითონ იჩემებენ“ (ჭავჭავაძე, 1957: 96-97). „სომხის

მწიგნობარნი იმის ცდასა და მეტყველებაში არიან, რომ [საქართველოს] ... რაც შეიძლება მეტი წილი ჩამოათალონ და თვით მიითვისონ, რაც შეიძლება გაუუქმონ წარსულიც“ (ჭავჭავაძე, 1957: 106); „სომხის მწიგნობარნი ... ბინას იკეთებენ იქ, სადაც არა ჰქონიათ ... სწადიათ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ისტორიული უფლება მიუძღვით ამ ადგილებში ბინის დადებისა“ (ჭავჭავაძე, 1957: 107). სომეხი ისტორიკოსების „დაფარული აზრი“ მდგომარეობს იმის დასაბუთებაში, რომ „საქართველო საქართველო კი არ არის, ძველი სომხეთიაო“ (ჭავჭავაძე, 1957: 157).

ილია ჭავჭავაძის აზრით, სწორედ ეს ფსევდომეცნიერება არის „დასაბამი და დასასრული იმ მწვავე განხეთქილებისა“ რომელიც ქართველთა და სომეხთა შორს წარმოიშვა (ჭავჭავაძე, 1957: 197).

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ პუბლიკაციების დიდი ნაწილი მიუთებს სომეხ-ქართველთა კონფრონტაციის სოციალურ და ეკონომიკურ საფუძვლებზე, სავარაუდოდ, უმთავრესი საფუძველი ამ დაპირისპირებისა სწორედ ნაციონალური იდენტობის ფუნდამენტური მარკერების - ისტორიისა და ტერიტორიისათვის „ქიშპობა“ წარმოადგენდა.

ამგვარად, როგორც შესწავლილი წყაროები ცხადყოფს, ორი „სხვა“ ჯგუფის - ებრაელთა და სომეხთა - აღქმას თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში საფუძველი ჩაეყარა მე-19 საუკუნის მიწურულიდან და ეს ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში მოხდა. პოპულარულ დისკურსში მიმართება ამ ორი ჯგუფის მიმართ ერთგვარი იყო, ხოლო ინტელექტუალურ დისკურსში ისინი განსხვავებულად აღიქმებოდნენ, რაც განპირობებული იყო თითოეული მათგანის მიმართებით ქართული ნაციისა და ქართული ნაციონალური იდენტობის ფუნდამენტური მარკერებისადმი.

ებრაული იდენტობის ჩამოყალიბება საქართველოში სხვა გზით წარიმართა. ებრაული იდენტობის ნარატივი ეფუძნებოდა ქართული ებრაული თემის ქართულ კულტურულ და ნაციონალურ სივრცესთან მჭირდო კავშირს და მასთან მიკითვნებულობის იდეას. ისტორია და კულტურა (უპირველესად, ენა), რომელსაც ქართველები და ქართველი ებრაელები იზიარებდნენ, წარმოადგენდა ამ უკანასკნელთა იდენტობის საფუძველს. ეს ფაქტორი და, განსაკუთრებით ებრაელთა ლოიალობა საქართველოსადმი, როგორც სამშობლოსადმი გახდა განმსაზღვრელი

ფაქტორი ქართველი ებრაელების, როგორც ოდითგანვე ერთგული „ჩვენი ებრაელების“ სახის ჩამოყალიბებისათვის. ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვანი მეგობრობის ნარატივი გახდა ერთადერთი კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც დღემდე განიხილება ქართულ-ებრაული ურთიერთობები და ებრაელთა ისტორია საქართველოში.

სომხური და ქართული იდენტობები ერთმანეთის ოპოზიციაში ჩამოყალიბდა. სომეხი და ქართველი ინტელექტუალები იყენებდნენ ნაციის ფორმირების ერთსა და იმავე მოდელს და მწვავედ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს ნაციონალური იდენტობის უმთავრესი მარკერების გამო. ქართული პოზიციის პროტესტს განაპირობებდა მოსაზრება, სომხური იდენტობის არქიტექტორები საკუთარი ნაციის შექმნას ქართული ნაციონალური იდენტობის საფუძვლებზე ცდილობდნენ. მე-19 საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბებული, კონფლიქტური და ურთიერთგადამფარავი ქართული და სომხური საისტორიო მასტერ ნარატივები მყარად შენარჩუნდა დღემდე, მიუხედავად მრავალჯერ შეცვლილი ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და პოლიტიკური გარემოებებისა. ისინი დამკვიდრდა ორი ერის კოლექტიურ მეხსიერებაში და მყარად შეინარჩუნა ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელი ფუნქცია. როდესაც ქართველთა და სომეხთა დაპირისპირების განმაპირობებელი ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები გაქრა,კონფლიქტურმა საისტორიო ნარატივებმა ხელი შეუწყო სომხის, როგორც „მოქიშპეს“ სახის ჩამოყალიბება.

შეიძლება თუ არა ქართულ-სომხური კონფრონტაცია განხილული იყოს ევროპული ანტისემიტიზმის ანალოგად? თანამედროვე ანტისემიტიზმი არის იდეოლოგია, რომელიც ევროპაში ნაციების ფორმირებისა და მათი ხელახალი გააზრების პროცესში წარმოიშვა. ამ კონტექსტში ებრაელები აღიქმებოდნენ, როგორც ამა თუ იმ ნაციისათვის უცხო და საფრთხის შემცველი ელემენტი. მართლაც, ისევე როგორც ებრაელები ევროპაში, სომხები საქართველოში იმ მთავარი „სხვა“-ს როლს თამაშობდნენ, რომლეთან დაპირისპირებითაც ხდებოდა ქართული იდენტობის განსაზღვრა თუმცა, რეინჰარდ რიურუპის თანახმად, „თანამედროვე ანტისემიტიზმი პროგრამულია და ფოკუსირებულია მოქმედებაზე, ზომების მიღებაზე, ... ებრაელების მიმართ არა მხოლოდ სოციალური დისტანციის გაზრდაზე, არამედ

მათთან ბრძოლით მსოფლიოს შეცვლაზე“ (Rürup, 2012: 298). თუ შევადარებთ საქართველოში სომხების რეპრეზენტაციის ძირითად მოდელს, რთული იქნება დასაბუთება, რომ ის ამ განსაზღვრების ფარგლებში თავსდება, რადგან საქართველოში არასდროს შემუშავებულა ანტისომხური იდეოლოგია, რომელიც მიზნად ისახავდა მობილიზაციას სომხების, რგოორც ნაციის წინააღმდეგ, მათ დისკრიმინაციას ან განადგურებას.მნიშვნელოვანი განსხვავებაა ის, რომ საქართველოში არასდროს ყოფილა ანტისომხური ძალადობა - პოგრომები, ხოცვა-ჟლეტა, ცილისწამების ფაქტები და სხვა, რაც თანამედროვე ანტისემიტიზმის განუყოფელი ნაწილია.

ამგვარად, მტკიცება რომ არმენოფობია საქართველოში ანტისემიტიზმის ქართული ნაირსახეობაა, კომპლექსური ფენომენის გამარტივების მაგალითია, რაც, როგორც წესი, მოყვება კონკრეტული ცნებების განზოგადებას და მათ მორგებას სპეციფიკურ მოვლენებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

მაისურაძე გიორგი. (ივნისი, 2011) „არმენოფობია“. რადიო თავისუფლება. მოძიებულია 28.მარტი, 2017. http://www.radiotavisupleba.ge/a/24244905.html

მაცაბერიძე დავით, წერეთელი ივანე, „ქართულ-სომხური ურთიერთობის ნარატივი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პრიზმაში“, „იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860-1918)“. თბილისი. 2014, გვ. 115-159.

წიწუაშვილი შალვა, „ქართველ ებრაელთა ეროვნული აზროვნების ისტორიიდან (1915-1926 წწ.)“, „ქართული აკადემიური წიგნი“, თბილისი. 2014.

წიწუაშვილი შალვა, „ალილათ დამ - სისხლის შარი" ცილისწამებაა“, თბილისი. 2001.

Aronson Michael I.,“Nationalism and Jewish Emancipation in Russia: the 1880s”,“Nationalities Papers”, 1977, vol. V, N 2, pp. 167-182.

Bazinyan Marieta, “Constructing a Nation: Identity Markers of Armenians (According to the Mshak Periodical Published during 1872-1892)”. “Anlytical Bulletin”, N 8. Yerevan, 2015, pp. 67-80.

Ben-Oren Gershon. “The history of the Jews of Georgia until the Communist Regime”. The Land of the Golden Fleece. The Jews of Georgia – History and Culture. Rachel Arbel, Lili Magal (Eds),“Beith Hatefutsoth and Ministry of Defence Publishing House”Tel Aviv". 1992, pp. 37-61.

Hobsbawm, Eric, „Enlightenment and Achievement: The Emancipation ofJewish Talent since 1800“, „Fractured Times: Culture and Society in the Twentieth Century“, „New Press“, New York- London. 2014, pp. 61-76.

Jones Stephen F. „Socialism in Georgian Colors. The European Road of Social Democracy, 1883-1917”. „Harvard University Press“, Cambridge, London. 2005.

Kennedy, Michael D., Suny, Ronald. G., „Introduction“. „Intellectuals and the Articulation of the Nation“, „The University of Michigan Press“,Ann Arbor. 2004, p. 1-51.

Rürup Reinhard. „Anti-Jewish Prejudices, Antisemitic Ideologies, Open Violence: Antisemitism in European Comparison from the 1870s to the First World War“. „Quest. Issues in Contemporary Jewish History“. Journal of Fondazione CDEC, vol. 3 July 2012, pp. 289-301.

Suny Ronald G. „The Making of the Georgian Nation“. „Indiana University Press“, Bloomington, 1994.

Шукян, М. Правовое положение евреев Грузии в XIX столетии. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. ტ. I, თბილისი, 1940, გვ. 70-125.

წყაროები:

„აკაკის თვიური კრებული“ 1897: N 3

„დროება“ 1867: N 42; 1870: N 23; 1871: N 32; 1874: N 417; 1875: N 9, 86, 99; 1877: N 27; 1878: N 7, 47; 1879: N 48, 135; 1882: N 153; 1883: N 186

„ზვირთი“ 1916: N 40;

„თეატრი და ცხოვრება“, 1916, N 39

„ივერია“ 1886: N198; 1903, N 25;

„კლდე“ 1912: N 8.

„სამშობლო“ 1915: N 247.

„სასოფლო გაზეთი“ 1871: N 15

„საქართველოს მოამბე“1909: N4,

„სახალხო ფურცელი“ 1915: N 342;

„სახალხო ფურცელი“1915: N 451; 1916, N 607, 668;

„ჩვენი ქვეყანა“ 1917: N 3, 14,

„ცისკარი“ 1860: N 1, 6.

„ცნობის ფურცელი“ 1898: N 574.

ჭავჭავაძე ილია, „ერი და ისტორია“, „ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები“, ტომი 4, „პალიტრა L“, Tbilisi. 2012, გვ. 29-34.

ჭავჭავაძე ილია, „ქვათა ღაღადი“, „ილია ჭავჭავაძის შრომათა სრული კრებული“, თბილისი. 1957, გვ. 95-194.

ჭავჭავაძე ილია, „ოსმალოს საქართველო“, „ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები“, ტომი 4, „პალიტრა L“,თბილისი. 2012, გვ. 3-8.